საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/43 " 11 " აპრილი 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის
მეორე ეტაპზე ზოგიერთი კანდიდატის დაშვების შესახებ

„მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე კანდიდატების დაშვების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 24 მარტის №1/28 გადაწყვეტილებით, მოსამართლეობის შესარჩევ კონკურსზე დარეგისტრირებულ კანდიდატებს დავით კეკენაძეს, დავით მგელიაშვილს და ანაიდ ოგანესიანს მიეცათ დამატებითი ვადა კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტების წარმოდგენისათვის. დ. კეკენაძემ და ა. ოგანესიანმა წარმოადგინეს დოკუმენტები სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან, მათ მიერ მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების თაობაზე.

„მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის 12^1 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, დავით კეკენაძე და ანაიდ ოგანესიანი დაშვებულ იქნენ 2017 წლის თებერვლის თვის მოსამართლეობის შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე.

ლევან მურუსიძე